| 64 | რევიშვილი ზურა | საქართველოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკის თეორიული საკითხები. აკად. პ. გუგუშვილის დაბ.-დან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთ. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვით.-ის აქტუალური პრობლემები". | | თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა | 6 |
| 65 | რევიშვილი ზურა | სოფლის ეკონომიკის ტრანსფორმირება. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | „—" | 33 |
| 66 | რევიშვილი ზურა | სოციალური მდგომარეობა სოფლად. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუ-ტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | „—" | 19 |
| 67 | რევიშვილი ზურა | სოფლის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემები. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | „—" | 23 |
| 68 | სარჩიმელია როლანდი | საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესაძლებლო-ბები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონო-მიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებუ-ლი. | VIII | „—" | 12 |
| 69 | სარჩიმელია როლანდი, ლორთქიფა-ნიძე რევაზი | პოსტსაბჭოთა საქართველოს მოსახლეობის ფენებად ფორმირების პროცესის გავლენა პრივატიზაციასა და კონკურენციაზე. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | „—" | |
| 70 | სარჩიმელია როლანდი | საბაზრო ეკონომიკის მბრძანებლური დაგეგმვის სისტემასთან შეუთავსებლობა და ამ პროცესზე ფარდობითობის თეორიის გავლენა. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული. | ტომი 9 | თბილისი, საქართვე-ლოს მეცნიერე-ბათა ეროვნული აკადემია. | |
| 71 | სარჩიმელია როლანდი | მეცნიერების ეკონომიკის პრობლემები საქართვე-ლოში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | | თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა | 18 |
| 72 | სიგუა გიორგი | მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური ფაქტორები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა | |
| 73 | ქავთარაძე თენგიზი | ცხვრის გადასარეკი ტრასების მდგომარეობის საკითხები საქართველოში ჟურნ. „ეკონომისტი". | № 1 | „—" | |
| 74 | ქავთარაძე თენგიზი | რძის დამზადებისა და ტრანსპორტირების ორგანიზაციის პრობლემები საქართველოში. | | „—" | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | აკად. პ. გუგუშვილის დაბ.-დან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთ. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვით.-ის აქტუალური პრობლემები“. | | | |
| 75 | ქავთარაძე თენგიზი | ფასწარმოქმნისა და რენტაბელობის პრობლემები მეცხოველეობაში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | „—“ | 22 |
| 76 | ქველაძე ქეთინო | ტურისტული მომსახურების განვითარების ზოგიერთი ასპექტი ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. | | „—“ | 12 |
| 77 | ქველაძე ქეთინო ქისტაური ნუნუ, მელაშვილი მედეა, | მომსახურების სფეროს განვითარების თანამედროვე ასპექტები და მისი პერსპექტივები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | „—“ | 25 |
| 78 | ქისტაური ნუნუ, მელაშვილი მედეა | უცხოური ინვესტიციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომის კრებული. | VIII | „—“ | |
| 79 | ქურდაძე თინა | საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხისათვის. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფ. მასალების კრებული „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. | | „—“ | |
| 80 | ქურდაძე თინა | საბიუჯეტო-საგადასაადო სისტემა პოლიტიკური გამოწვევების წინაშე. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | „—“ | |
| 81 | ჩხეიძე თინა | მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | „—“ | 17 |
| 82 | ჩხეიძე თინა | გაუდაბნოება – ეკონომიკის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემა. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. | | „—“ | 4 |
| 83 | ჩხეიძე თინა | ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის | № 5 | „—“ | 7 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | საკითხისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“. | | | |
| 84 | ჩხეიძე თინა, ქველაძე ქეთინო | მიწის რესურსის ოპტიმალურად გამოყენება და დაცვის პრობლემები საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებული სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“. | №1 თბ. 2016 | გამომც. „მწიგნობარი“ | 11 |
| 85 | ჩხეიძე თინა, ქველაძე ქეთინო | სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი საშუალება მიწაა თუ ნიადაგი!? საქ.-ოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. გაეროს მიერ განხორციელებული ნიადაგის საერთაშორისო წლის ფარგლებში, ნიადაგის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია: „ნიადაგების როლი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების საქმეში.“ | | გამ.-ბა „არიალი“ | 13 |
| 86 | ცუცქირიძე მარინა | ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარების ასპექტები. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. | | თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომ-ცემლობა | 5 |
| 87 | ცუცქირიძე მარინა | ბიზნესის ორგანიზაციული სისტემების განვითარება და მისი დარგობრივი ასპექტები. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | „––“ | 10 |
| 88 | ხუსკივაძე მამუკა | შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინანტები და მისი ანალიზი ეკონომეტ-რიკული მოდელირების მეთოდის გამოყენებით საქართველოს მაგალითზე. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. | | „––“ | 7 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 89 | ხუსკივაძე მამუკა, ნოზაძე ზურა | მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობა საქართველოში. თსუ პ. უგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | „––“ | |
| 90 | ჯავახიშვი ლი რეზო | ევროინტეგრაციის მოთხოვნები და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები. თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. | VIII | „––“ | 25 |
| 91 | ჯავახიშვი ლი რეზო | საქართველოს საგარეო ვაჭრობის ევროპული კურსი. აკად. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნ. კონფერენციის მასალების კრებული. „ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“. | | „––“ | 7 |
| 92 | ჯავახიშვი ლი რეზო | ევროინტეგრაციის მოთხოვნები და საქართველოს გამოწვევები ვაჭრობის სფეროში. ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება“. | №1 | | 10 |
| 93 | ჯავახიშვი ლი რეზო | ევროინტეგრაციის მოთხოვნები და საქართველოს სოფლის მეურნეობის გამოწვევები. ჟურნ. „მეცნიერება და ცხოვრება“. | №2 | | 12 |

ანოტაციები ქართულ ენაზე

**რ. აბესაძე.** დაზუსტებულია მდგრადი განვითარების მოთხოვნები ეკონომიკის სფეროში, გამოკვლეულია საქართველოში ეკოლოგიური მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტი.

**რ. აბესაძე.** გამოკვლეულია ტექნოლოგიების მნიშვნელობა ეკონომიკური განვითარებისათვის. შემოთავაზებულია საქართველოში ახალი ტექნოლოგიების ათვისების შესაძლებლობები.

**რ. აბესაძე.** გადმოცემულია ინოვაციების და ინოვაციური ეკონომიკის არსი და შემოთავაზებულია საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების ზოგადი მიმართულებები.

**ნ. არევაძე.** ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს მრეწველობის განვითარებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციები კრიზისამდელ, კრიზისის და კრიზისის შემდგომი პერიოდისათვის, განსაზღვრულია მრეწველობის როლი და ადგილი საქართველოს

ეკონომიკაში და მისი განვითარების შესაძლო ტენდენციები მომავალში.
**ნ. არევაძე.** სტატიაში გაანალიზებულია მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების განვითარების საკითხები კრიზისამდელ და კრიზისის შემდგომ პერიოდებში. დახასიათებულია მისი თანამედროვე მდგომარეობა, რომლიც დღეისათვის სავალალო მდგომარეობაშია. გამოთქმულია ზოგიერთი წინადადება არსებული ვითარების გამოსწორებისა და მისი სამომავლო აღორძინების მიმართულებით.
**ნ. არევაძე.** სტატიაში გაანალიზებულია კვების მრეწველობის განვითარების ასპექტები კრიზისამდელ და კრიზისის შემდგომ პერიოდებში. ამჟამად პროდუქციის წარმოების მოცულობა დარგში მნიშვნელოვნად ჩამორჩება 1990 წლის შესაბამის მონაცემებს როგორც ღირებულებითი, ისე განსაკუთრებით ნატურალური მაჩვენებლების მიხედვით. გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს გააჩნია საუკეთესო პირობები და შესაძლებლობები დარგის განვითარებისათვის.
**ნ. არევაძე.** სტატიაში გაანალიზებულია ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის განვითარების ასპექტები კრიზისამდელ და კრიზისის შემდგომ პერიოდებში სანედლეულო შესაძლებლობებისა და დღევანდელი სავალალო მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოთქმულია ზოგიერთი მოსაზრება დარგის მომავალი განვითარების მიმართულებით.
**ნ. არევაძე.** სტატიაში გაანალიზებულია შავი და ფერადი მეტალურგიის განვითარების ძირითადი ასპექტები კრიზისამდელ და კრიზისის შემდგომ პერიოდებში. სხვა დარგებისაგან განსხვავებით, აღნიშნულმა დარგმა მეტ-ნაკლებად შეინარჩუნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საწარმოო პერსონალი, თუმცა შეამცირა როგორც წარმოებული პროდუქციის მოცულობა, ისე მისი ასორტიმენტი, რაც ნედლეულით მომარაგების პრობლემასთან უშუალოდ არის დაკავშირებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რამდენადაც ახლა ერთადერთი კონკურენტუნარიანი მეტალურგიული პროდუქტი, რომლის მიწოდებაც საქართველოს შეუძლია მსოფლიოს ბაზრისათვის სწორედ ფერო და სილიკომანგანუმია.
**ნ. არევაძე.** სტატიაში გაანალიზებულია საქ. ხე-ტყის, ხის დამამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის განვითარების ასპექტები. აღნიშნულია იმ სიძნელეებზე, რომელიც ამჟამად შექმნილია დარგში და ამის გამო ქვეყნის მოთხოვნილება მის პროდუქციაზე ძირითადად იმპორტით კმაყოფილდება. გამოთქმულია ვარაუდი მისი შემდგომი მძლავრი განვითარების გარკვეულ სიძნელეებზე სანედლეულო რესურსების შეზღუდულობის მიზეზით და ამდენად არსებული და მეორადი რესურსების უფრო რაციონალური გამოყენების აუცილებლობის თაობაზე.
**ნ. არევაძე.** სტატიაში „საშენი მასალების მრეწველობის განვითარების პრობლემები საქართველოში", გაანალიზებულია საშენი მასალების განვითარებაში მიღწეული შედეგები და ის ძირითადი პრობლემები, რომელიც ამჟამად დგას დარგის წინაშე გაღრმავებული გლობალიზაციისა და ეკონომიკური კრიზისის პირობებში. გაკეთებულია დასკვნა საქართველოში საშენი მასალების მრეწველობის აუცილებელი აღორძინების თაობაზე, რამდენად ქვეყანაში არსებობს როგორც საშენ მასალებზე დიდი მოთხოვნა და საკმარისი სანედლეულო რესურსები, ისე დაუსაქმებელი სამუშაო ძალა და საექსპორტო პროდუქციის ასორტიმენტის გაუმჯობესების შესაძლებლობა. ამისათვის საჭირო იქნება გარკვეული ღონისძიებების განხორციელება, რომელიც უპ.ყ. ლიცენზირების პოლიტიკის შეცვლასა და მეწარმეთა დაინტერესებაში მდგომარეობს.
**ნ. არევაძე.** სტატიაში გაანალიზებულია მსუბუქი მრეწველობის განვითარების ძირითადი ასპექტები. აღნიშნულია, რომ მსუბუქი მრეწველობა მონაწილეობის სხვა დარგთა შორის თითქმის ყველაზე მეტად დაზარალდა კრიზისსა და კრიზის შემდეგ პერიოდებში. გამოთქმულია ზოგიერთი მოსაზრება დარგის აღმავლობისათვის მომავალში.
**გ. ბერულავა.** ამ სტატიის მთავარი მიზანია მომსახურების სექტორის რეფორმირების როლის შესწავლა ექსპორტის განხორციელების ხელშეწყობაში გარდამავალ ეკონომიკებში. მომსახურების სექტორი ამ კვლევაში მოიცავს ისეთ დარგებს როგორიცაა, ანსები, ტელეკომუნიკაცია და ელექტრო ენერგეტიკა, რომლებიც არ არიან ინდივიდუალური ფირმების კონტროლის ქვეშ. მაგრამ რომლებიც გავლენას ახდენენ ვაჭრობის და ბიზნესის კეთების დანახარჯებზე და ამდენად, ფირმების მწარმოებლურობაზე. ამ კვლევის შედეგად დადგინდა რომ სერვისის სექტორის გაუმჯობესობა მნიშვნელოვან და დადებით გავლენას ახდენს სამრეწველო ფირმების საექსპორტო საქმიანობაზე.
**გ. ბერულავა, თ. გოგოხია.** ამ სტატიტის მიზანია შეიქმნას წარმოდგენა, იმასთან დაკავშირებით თუ როგორ შეძლებს საქართველომ გაზარდოს მისი მწარმოებლურობა და წარმოადგინოს შრომითი რესურსები და კომპანიების სპეციალიზირებული უპირატესობები. ჩვენ დავიწყებთ არსებული მდგომარეობის და რეფორმების აღწერით შესაბამის დარგებში, როგორიცაა ეკონომიკური განვითარება და საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემები. მეორე, ჩვენ დავადგენთ არსებულ პრობლემებს და შესაძლებლობებს ამ სფეროებში. მესამე, განხილულ იქნება თითოეული

დაინტერესებული მხარის ფუნქცია და მათი პოტენციალი ხელი შეუწყონ საქართველოს შრომითი რესურსების კონკურენტუნარიანობის გაზრდას. მეოთხე, დეტალურად დამუშავდება პოლიტიკის რეკომენდაციები როგორც მთავრობისთვის, ასევე კერძო სექტორისთვის.

ამ ნაშრომის მთავარი სიახლეები არის:

•საქართველოში კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში ადამიანური კაპიტალის როლის განსაზღვრა;

•საქართველოში ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა:

•საქართველოში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ბიზნესის განვითარების შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

**გ. ბერულავა.** ამ ნაშრომის მიზანია გარდამავალ ეკონომიკებში ფირმის საქმიანობაზე ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გავლენის ანალიზი. ნაშრომის მთავარი წვლილი მდგომარეობს იმაში, რომ ის უზრუნველყოფს ახალ ემპირიულ შეხედულებას გარდამავალ ეკონომიკებში ნდობაზე დაფუძვნებული ურთიერთობების და ბიზნეს საქმიანობის შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირზე. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ კონტრაქტული ურთიერთობების არაფორმალური ნდობაზე დაფუძვნებული ინსტიტუტები წარმოადგენენ ბიზნესის საქმიანობის გაუმჯობესობის მნიშვნელოვან მიმართულებას გარდამავალ ეკონომიკებში.

**გ. ბრეგვაძე.** ნაშრომში განხილულია უკანასკნელ წლებში საქართველოში მშენებლობის სექტორის განვითარების სპეციფიკა და თავისებურებანი. შესწავლილი და გაანალიზებულია ის პრობლემები, რომელიც ამ სფეროშია და დასახულია მათი გადაჭრის გზები.

**გ. ბრეგვაძე.** ნაშრომში განხილულია საქართველოს სამშენებლო სექტორის ინვესტირების საკითხები უკანასკნელი წლების მანძილზე. გაანალიზებულია არსებული მდგომარეობა და დასახულია გზები თუ, როგორ შეიძლება გაიზარდოს ამ სფეროში ინვესტირება.

**ვ. ბურდული.** ქვეყნის ეკონომიკის გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ სისტემებში ინტეგრაციის აუცილებლობის პირობებში საჭიროა კურსის აღება განვითარების ნეოინდუსტრიულ ტიპზე (შესაბამისი დარგობრივი სტრუქტურის ფორმირება) და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაზე (უკანასკნელის ფორმირება ძლიერად დამოკიდებულია ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკის მდგომარეობაზე). ეფექტიანი ეკონომიკის აშენების უზრუნველყოფაში განსაკუთრებული როლი გააჩნია საკმაოდ მსხვილი სახელმწიფო და კერძო განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და, ასევე, თანამედროვე ქსელური ურთიერთობების თავისდროულ ფორმირებას. ამიტომ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელის (ეკონომიკის დარგობრივი, ორგანიზაციული და ინსტიტუციური სტრუქტურა, მათი განვითარების სტრატეგია, განვითარების სახელმწიფო და ბიზნეს-კოორდინაციის მექანიზმები) სრულყოფისას საჭიროა ასეთი განვითარების აღნიშნული სისტემაშემქმნელი პირობების და კომპონენტების გათვალისწინება.

ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში გამოკვლეულია ცნებების “ნეოინდუსტრიული განვითარება” და ‘ინოვაციური ეკონომიკა” შინაარსის, ურთიერთკავშირის და ურთიერთდამოკიდებულების თეორიული ასპექტები.

გამოკვლეულია და დასაბუთებულია ცნებების ”ნეოინდუსტრიული განვითარება” და “ნეოიდუსტრიული ეკონომიკა” შინაარსი, ყურადღების აქცენტირებით მათი სტრუქტურულ-დარგობრივ და სტრუქტურულ-ტექნოლოგიურ ასპექტებზე.

კრიტიკულად გამოკვლეულია ცნების “ინოვაციური ეკონომიკა” რამდენიმე თანამედროვე დეფინიცია და ამის საფუძველზე ფორმულირებულია და დასაბუთებულია ავტორისეული გაფართოებული დეფინიცია (სხვა განხილული დეფინიციების დადებითი მხარეების გათვალისწინებით).

ნაჩვენებია და დასაბუთებულია ცნებების “ნეოინდუსტრიული განვითარება”, “ინოვაციური ეკონომიკა” და “ცოდნის ეკონომიკა” ურთიერთკავშირი”, “ურთიერთდამოკიდებულება” და ნაწილობრივი ურთიერთშეთავსება და დამტკიცებულია, რომ გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პირობებში ისინი წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უპირობო ძირითად მიმართულებებს.

განსაკუთრებული ყურადღება ნაშრომში ეთმობა განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და ქსელური ურთიერთკავშირების თანამედროვე შინაარსისა და სისტემატიზაციის კვლევას. ნაჩვენებია, რომ ეს ცნებები წარმოადგენენ ქვეყნის ნეოინდუსტრიული ინოვაციური განვითარების მთავარ უპირობო ატრიბუტებს. ნაშრომში ასევე მოყვანილია ქვეყანაში განვითარების საფინანსო ინსტიტუტებისა და ქსელური ურთიერთკავშირების ფორმირების მაგალითები.

**ვ. ბურდული.** ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკის თვითკმარობის დონის ამაღლების პრობლემები მისი დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების, დივერსიფიკაციის, ექსპორტის მოცულობის ზრდისა და იმპორტჩანაცვლებითი წარმოების მასშტაბების ზრდის საფუძველზე. ამასთან

დაკავშირებით გამოკვლეულია სტრუქტურული ეფექტის გაგება (უპირატესად მისი სტრუქტურულ-დარგობრივი ასპექტები) და მისი შეფასების ხერხები, რომელთა შორის მთავარ როლს თამაშობს ეკონომიკის თვითკმარობის დონის შეფასება. გამოკვლეულია ეკონომიკის თვითკმარობის დონე გამსხვილებული დარგობრივი ჯგუფების ჭრილში და ამის საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებები (პრიორიტეტული დარგების წინმსწრები განვითარების გზით). ამის შემდეგ მოცემულია საქართველოს სტრუქტურულ-დარგობრივი პოლიტიკისა და მისი ინსტრუმენტების სრულყოფის მიმართულებები, იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც იძლევიან საქართველოს ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ შეთანხმების დებულებები.

**ვ. ბურდული.** ნაშრომში დასაბუთებულია, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნის რეგიონების განვითარების კოორდინაციის თანამედროვე მექანიზმი ადაპტირებული უნდა იყოს გლობალიზაციის პირობებისადმი. განხორციელებულია რეგიონების ჭრილში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, რომელმაც გამოავლინა: საქათველოს რეგიონების ჩამორჩენილობა რუსეთის და უკრაინის რეგიონებისაგან ერთ სულ მოსახლეობაზე შექმნილი მთლიანი რეგიონული პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით; კეთილდღეობის დონის უთანაბრობა საქართველოს რეგიონებს შორის; მრეწველობისა და საქმიანობის ზოგიერთი სხვა სახის განვითარების დაბალი დონე საქართველოს რიგ რეგიონში. გამოვლენილია ასევე ერთ დასაქმებულზე შექმნილი დამატებული ღირებულების მაჩვენებლის დაბალი დონე საქმიანობის ძირითადი სახეების ჭრილში. დასახულია რეგიონებში ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები. განხილულია საქართველოში რეგიონული განვითარების კოორდინაციის თანამედროვე მდგომარეობა. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და ტრანსფორმაციული პერიოდის თავისებურებების გათვალისწინებით მოცემულია და დასაბუთებულია რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და ასეთი განვითარების კოორდინაციის და სტიმულირების სისტემების სრულყოფის გზები. ზოგიერთი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით შემოთავაზებულია საქართველოში საჯარო მართვის დეცენტრალიზაციის გზები.

**ვ. ბურდული.** ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკის თვითკმარობის დონის ამაღლების პრობლემები მისი დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების, ექსპორტის დივერსიფიკაციის და მისი მოცულობის ზრდისა, ასევე, იმპორტჩანაცვლებითი პროდუქციის მასშტაბების ზრდის ხარჯზე. ამასთან დაკავშირებით გამოკვლეულია სტრუქტურული ეფექტის გაგება (ძირითადად, მისი სტრუქტურულ-დარგობრივი ასპექტების) და მისი გაზომვის ხერხები (რომელთა შორის მთავარ როლს თამაშობენ ეკონომიკის და მისი სექტორების თვითკმარობის დონის შეფასებები). შესწავლილია ეკონომიკის თვითკმარობის დონე აგრეგირებული დარგობრივი ჯგუფების (სექტორების) ჭრილში და ამის საფუძველზე შემოთავაზებულია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესების გზები პრიორიტეტული დარგების წინმსწრები განვითარების გზით.

**თ. გოგოხია.** სტატიაში წარმოდგენილია ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციების არსი, როლი და მნიშვნელობა ფირმის ეფექტიანობის ამაღლებაში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მაგალითზე.

**თ. გოგოხია.** სტატიაში განხორციელებულია შესაბამის ლიტერატურაში აღწერილი იმ ემპირიული კვლევების გარკვეული ნაწილის მიმოხილვა, რომელიც ეხება ფირმებში ტექნოლოგიური და არატექნოლოგიური (მათ შორის მარკეტინგული) ინოვაციების დანერგვის სტიმულებსა და ბარიერებს.

ჩვენი დასკვნის მიხედვით, განვითარებად (განსაკუთრებით, გარდამავალი ეკონომიკის) ქვეყნებში ფირმის დონეზე ინოვაციების დანერგვის სტიმულები და ბარიერები ერთმანეთისგან განსხვავდება ან ტიპის, ან მოქმედების ძალის მიხედვით. ამ მდგომარეობას განაპირობებს კონკრეტული ქვეყნის თავისებურებები და სპეციფიკა.

**ნ. დავლაშერიძე.** სტატიაში გამოთქმულია ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის ს. კუზნეცის შეხედულებები ეკონომიკის ინოვაციური განვითარების მდგრადი განვითარების აქტუალურ პრობლემებზე. უწყვეტ ეკონომიკური განვითარების პროცესზე. აღნიშნულია, რომ ეკონომიკური ზრდის პრობლემები შორდება წმინდა ეკონომიკურს. ეკონომიკური ზრდის ფესვების აღმოსაჩენად უნდა დავეყდრნოთ სხვა სოციალურ მეცნიერებებს – სოციოლოგიას, პოლიტოლოგიას, დემოგრაფიას.

**ნ. დავლაშერიძე.** სტატიაში განხილულია სტატისტიკის ინდიკატორები და მაჩვენებლები, რაც ევროკავშირის ქვეყნებს საშუალებას აძლევს, განსაზღვრონ ინოვაციური განვითარების ლიდერები და აქტუალობა, შეაფასონ ინოვაციური საქმიანობა ძირითად კონკურენტებთან – აშშ-თან და იაპონიასთან შედარებით, გამოავლინონ და გამოიყენონ საუკეთესო გამოცდილება. ამავე დროს აღნიშნულია, რომ ინოვაციური განვითარების შეფასების ერთმნიშვნელოვანება არ შეიძლება

ჩაითვალოს გადაწყვეტილად.
**ლ. დათუნაშვილი.** სტატიაში გაანალიზებულია 2000-2014 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, რაც გამოიხატა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში მემცენარეობის ხვედრითი წილის შემცირებაში და სასოფლო-სამეურნეო მომსახურეობის ხვედრითი წილის ზრდაში. ერთწლიანი კულტურების სტრუქტურაში მარცვლოვანი და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების ხვედრითი წილის ზრდაში, ტექნიკური კულტურების, კარტოფილისა და ბოსტნეულის, ასევე საკვები კულტურების ხვედრითი წილის შემცირებაში. მრავალწლიანი კულტურებიდან ყურძნის და ციტრუსის წარმოების ზრდაში, ხილისა და განსაკუთრებით ჩაის ფოთლის წარმოების შემცირებაში.

სტატიაში დადგენილია, რომ მეცხოველეობის დარგობრივ სტრუქტურაში გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, თხისა და ცხვრის სულადობა, ასევე ფუტკრის ოჯახის რაოდენობა, შემცირდა ფრინველისა და ღორის სულადობა, ხოლო შეწყდა მეაბრეშუმეობის, როგორც დარგის არსებობა. სტატიაში დასახულია რიგი ღონისძიებები სოფლის მეურნეობის დარგობროვი სტრუქტურის სრულყოფის მიმართულებით.

**ლ. დათუნაშვილი.** სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოში მეციტრუსეობის განვითარების ზოგიერთი ისტორიული ასპექტი. ყურადღება გამახვილებულია პოსტსაბჭოთა პერიოდში დარგის განვითარებისათვის განხორციელებულ ღონისძიებებზე როგორც ციტრუსების ფართობის, ისე ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების გადიდების მიმართულებით. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს ციტრუსოვანთა ნაყოფის რეალიზაციისათვის როგორც ძველი, ისე ახალი გასაღების ბაზრის ათვისების საკითხს. სტატიაში ხაზგასმულია როგორც ახლო და შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნებთან აღნიშნული პრობლემის დარეგულირების, ასევე ქვეყნის შიგნით საკონსერვო წარმოების განვითარების ბაზაზე ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამუშავების და ამ სახით საექსპორტოდ გატანის აუცილებლობაზე. სტატიაში ჩამოყალიბებულია წინადადებები და დასახულია ღონისძიებები, რომელთა რეალიზაცია ხელს შეუწყობს დარგის შემდგომ განვითარებას.

**ლ. დათუნაშვილი.** სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია ბოლო 20 წლის მანძილზე ქვეყანაში მიმდინარე კატაკლიზმების ფონზე (ეკონომიკური და ენერგოკრიზისი, მოუფიქრებელი ეკონომიკური რეფორმები, სამეურნეო კავშირების მოშლა, სეპარატიზმი, სამოქალაქო ომი, ლტოლვილთა დიდი ნაკადი და სხვა) როგორი დეგრადაცია განიცადა საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსმა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკამ. ასევე აღნიშნულმა მოვლენებმა თუ რა მძიმე დაღი დაასვა ქვეყნის ყველაზე განვითარებულ დარგს – მეჩაიეობას, რომლის მზა პროდუქცია პოსტსაბჭოთა პერიოდში დაახლოებით 90%-მდე ექსპორტზე გადიოდა, ძირითადად რუსეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ბაზრებზე.

სტატიაში ხაზგასმულია თუ როგორ განადგურდა მეჩაიეობის დარგის მომსახურე დარგები და მთლიანი ინფრასტრუქტურა, ასევე, თუ როგორ მკვეთრად შემცირდა ჩაის ფართობი და შესაბამისად ჩაის წარმოება საქართველოში. დადგენილია ის მიზეზები, რამაც ხელი შეუწყო დარგის ასეთ დაკნინებას, გამოთქმულია წინადადებები და ჩამოყალიბებულია ღონისძიებათა კომპლექსი დარგის შემდგომი განვითარების მიმართულებით.

**ლ. დათუნაშვილი.** სტატიაში შესწავლილია მევენახეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და პრიორიტეტული დარგის, მდგომარეობა საქართველოში. დადგენილია, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება ქვეყანაში როგორც ვენახის ფართობის, ისე ყურძნის წარმოების მხრივ. 1995-2014 წლებში ყურძნის წარმოება 197,5 ათასი ტონით შემცირდა.

სტატიაში ხაზგასმულია იმ მიზეზების შესახებ, რამაც გამოიწვია ყურძნის წარმოებაში არსებული მდგომარეობა (მოიშალა ძველი კავშირები, გაიძარცვა და განიავდა ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნების მანქანა-დანადგარები და რაც გადარჩა, მორალურად და ფიზიკურად მოძველებულია). საქართველოში წარმოებული სამარკო ღვინოებისა და ღვინომასალების ექსპორტი ძირითადად რუსეთსა და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ხდებოდა. დღეისათვის ეს სივრცე მნიშვნელოვნად შემცირებულია.

სტატიაში ჩამოყალიბებულია წინადადებები და დასახულია ღონისძიებები მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის წარმოების გადიდების მიმართულებით.

**ლ. დათუნაშვილი.** სტატიაში შესწავლილია მეცხოველეობაში, როგორც ქვეყნის აგრარული სფეროს ძირითად დარგში არსებული მდგომარეობა. გაანალიზებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ფურკამეჩის ჩათვლით), ღორის, ცხვრისა და თხის სულადობის, ასევე სხვადასხვა სახის ფრინველის, კვერცხის, თაფლისა და რძის წარმოებაში არსებულ რაოდენობრივ ცვლილებებზე მოქმედი ფაქტორები. ყურადღება გამახვილებულია მეაბრეშუმეობასა და საკვებწარმოებაში არსებულ მდგომარეობასა და განვითარების შესაძლებლობებზე. მითითებულია 2000-2014 წლებში საქართველოში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების შემცირებაზე სხვადასხვა ობიექტური და

სუბიექტური მიზეზების არსებობაზე, დაფიქსირებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ასევე ფრინველის დაცემის მიზეზები. ყურადღება გამახვილებულია ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურების, ასევე აგრარული სფეროს ინფრასტრუქტურის განვითარების მეტად დაბალ დონეზე.

სტატიაში გამოთქმულია წინადადებები და დასახულია ღონისძებები მეცხოველეობის შემდგომი განვითარების მიმართულებით.

**ლ. დათუნაშვილი.** სტატიაში გაშუქებულია მეაბრეშუმეობის ჩასახვისა და განვითარების საკითხებზე დარგის უცხოელი მკვლევარების შეხედულებები (მუკერჯნი, ტიხომიროვი, რონდო, მუხამედოვი, შავროვი). ყურადღება გამახვილებულია საქართველოში აბრეშუმის გრენის შემოტანისა და შემდგომ დარგის განვითარების შესახებ ქართველ მკვლევართა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე (აბესაძე ა., ბოცვაძე ს., კალაძე ა. და სხვები) მოტანილია უცხოელ მოგზაურთა მიერ სხვადასხვა პერიოდში საქართველოში მოგზაურობის დროს მათ მიერ დანახული და შეფასებული ქვეყნის მეურნეობის სხვადასხვა დარგის, მ. შორის მეაბრეშუმეობის არსებული მდგომარეობა. სტატიაში შესწავლილია საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გაუქმებისა და რუსეთთან მისი შეერთების შემდეგ მეაბრეშუმეობის (აბრეშუმის პარკის წარმოება) განვითარებისათვის მეფის რუსეთის მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლებმაც გარკვეულწილად განსაზღვრეს ქვეყნის ამ ტრადიციული დარგის შენარჩუნება და განვითარება.

**ლ. დვალიშვილი.** თანამედროვე სამყაროსათვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ეკოლოგიური პრობლემები.

ადამიანს არსებობისათვის სჭირდება ისეთი გარემო, სადაც იქნება სუფთა ჰაერი, წყალი, ჯანსაღი კლიმატი.

მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფერული ჰაერის დაცვას ანთროპოგენური საქმიანობით დაბინძურებისაგან, რადგან ჰაერი ადამიანისათვის უმთავრესი სასიცოცხლო რესურსია.

მიგვაჩნია, რომ ეკოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი და ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს დედამიწის დაცვა მომხმარებლური დამოკიდებულებისაგან, რათა უზრუნველვყოთ მომავალი თაობების უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება.

დღეისათვის სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში მიმდინარე ცვლილებების პირობებში დღის წესრიგში უნდა დადგეს ახალი მიდგომები გარემოსდაცვით პოლიტიკასა და კანონმდებლობაში. ეკოლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას განსაზღვრული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები, მიმართულებები, ამოცანები და პრინციპები გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ხანგრძლივი მოთხოვნების შესაბამისად.

**ლ. დვალიშვილი.** მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფერული ჰაერის დაცვას ანთროპოგენური საქმიანობით დაბინძურებისაგან, რადგან ჰაერი ადამიანისათვის უმთავრესი სასიცოცხლო რესურსია.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მთავარ პასუხისმგებელ უწყებას ქვეყანაში გარემოს დაცვის სამინისტრო წარმოადგენს. დღესდღეობით ეკონომიკური საქმიანობები უკეთესი ტექნოლოგიებით და მენეჯმენტის მეშვეობით უნდა განვითარდეს, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს ბუნებაზე ზეწოლის ზრდა. ნაშრომში მოცემულია ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტები.

**ც. თეთრაული.** წინამდებარე ნაშრომში განხილულია ინფლაციის გამომწვევი მიზეზები და მისი განვითარების თავისებურებები. გაანალიზებულია მისი დარეგულირების გზები და ღონისძიებები.

**ც. თეთრაული.** სტატიაში განხილულია სახელმწიფოს არსი, მისი განვითარების სახეები და თავისებურებები; გაანალიზებულია სახელმწიფოს ძირითადი ეკონომიკური ფუნქციები, მისი როლი და მნიშვნელობა.

**ე. კაკულია.** განვითარებული ქვეყნების მასალების საფუძველზე ნაჩვენებია მცირე ბიზნესის როლი დასაქმე ბასა და უმუშევრობის შემცირებაში. ამ მიმართულებით გამოკვლეულია საქართველოში არსებ ული მდგომარეობა, გამოთქმულია მოსაზრება, მცირე ბიზნესის, როგორც უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორის განვითარების აუცილებლობის შესახებ. ნაჩვენებია ქვეყანაში ამ მიმართულებით არსებული პოტენციალი.

**ე. კაკულია.** გამოკვეთილია ის კანონზომიერებები, რაც დღეისათვის ახასიათებს მცირე ბიზნეს ეკონომიკურ სისტემაში(თავისებურებები, მნიშვნელობა , არსი, როლი). კვლევის შედეგად საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარება წარმოდგენილია გარდამავალი პერიოდის დაწყებიდან დღემდე ხუთ ეტაპად . 2016 წლიდან საქართველოს მცირე ბიზნესის ფორმირება -განვითარების(მეექვსე ეტაპი) სწორი პოლიტიკა უნდა შემუშავდეს , ამ სფეროში უნდა დაიწყოს ევროკავშირის პოლიტიკის პრინციპების და ინსტრუმენტების დანერგვა. მიუხედავად იმისა,რომ ევროინტეგრაცია ქვეყნის სტრატეგიული პოლიტიკაა,

ჯერ კიდევ არ არის დანერგილი მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ევროპის ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკა. ევროკავშირის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს მცირე ბიზნესის სოციალური როლის და მნიშვნელობის წახალისება.

**ე. კაკულია.** ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სოციალური დაზღვევა მისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება. კვლევის შედეგად სოციალური დაზღვევის ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია , იფორმაციული და ფინანსური ნაკადების მოძრაობის მექანიზმი. სოციალური დაცვის სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო სისტემის ფორმირება შეუძლებელია სოციალური დაზღვევის სისტემის განვითარაების მარეგულირებელი სახელმწიფო ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბების გარეშე.ნაშრომში აღწერილია ამ მექანიზმის სტრუქტურის ავტორისეული ხედვა.

**მ. კვარაცხელია.** ნაშრომი ეხება ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ზოგიერთ ასპექტს ისეთი დიდი მოაზროვნეების შემოქმედებაში, როგორიცაა: ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. მათ მიერ შესწავლილი საბაზრო ურთიერთობები დღესაც იძლევა გარკვეულ ორიენტირებს ქართული მოდელის პრინციპების შესაქმნელად.

**მ. კვარაცხელია.** სტატიაში განხილულია მიგრაციის საერთაშორისო პრობლემების ცალკეული ასპექტები, როგორიცაა მიგრაციული კრიზისი საერთაშორისო დონეზე, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე. გაანალიზებულია საქართველოში არსებული მდგომარეობა მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებით, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და უახლოეს პერსპექტივაში მოსალოდნელი ტენდენციები. სტატიაში ნაჩვენებია ის, რომ მოსახლეობის მიგრაცია საუკუნის პრობლემაა, რაც მოითხოვს ქვეყნებისგან მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამების შემუშავებასა და მისი რეალიზაციისთვის სათანადო რესურსების მობილიზებას.

**ა. კურატაშვილი.** სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ევროინტეგრაციის თეორიული პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მიზანსა და საშუალებებზე, ეგრეთ წოდებულ "დემოკრატიაზე", "კანონის უზენაესობაზე" და "საბაზრო ეკონომიკაზე".

**ა. კურატაშვილი.** სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ავტორის მიერ შემოთავაზებული მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება მეცნიერულ შემოქმედებაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში – როგორც ხალხის ინტერესებისათვის ეფექტიანი სახელმწიფო მართვის აუცილებელი წინაპირობა.

**ა. კურატაშვილი.** სამეცნიერო ნაშრომში განხილულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და დოქტორანტების მომზადების სამართლებრივი პრობლემები.

**ა. კურატაშვილი.** სამეცნიერო ნაშრომში განხილული და დასაბუთებულია ავტორის პოზიცია, რომლის თანახმად ჩინეთის პოლიტიკური სისტემა – ეს არის არა კაპიტალიზმი, არამედ ადმინისტრაციულ-საბაზრო სოციალიზმი, რომელიც მიდის ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით.

**ა. კურატაშვილი.** სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ყოველი ადამიანის ინტერესებისათვის ეკონომიკის, საზოგადოების, სახელმწიფოს და კაცობრიობის პროგრესული განვითარების ავტორის მიერ შექმნილი კარდინალურად ახალი ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები.

კერძოდ, პროგრესული განვითარების კარდინალურად ახალი თეორიული საფუძვლების სახით განხილულია: სოციალური მიზნის ფილოსოფია, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია.

**ა. კურატაშვილი.** სამეცნიერო ნაშრომში განხილულია სახელმწიფოში ხალხის გენოციდის შენიღბული ფორმით "დაკანონება" – როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

**თ. ლაზარაშვილი, მ. მელაშვილი.** ნაშრომში გაშუქებულია საფინანსო სისტემის არსებული მდგომარეობა და თავისებურებები საქართველოში. კერძოდ გაშუქებულია საქართველოში სახელმწიფო საწარმოების მართვის, საბანკო სისტემის განვითარების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების და საპენსიო და სადაზღვევო სისტემის მდგომარეობის თავისებურებები. გამოვლენილია ამ სფეროებში არსებული დადებითი და უარყოფითი მხარეები და დასახულია მათი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

**თ. ლაზარაშვილი, ნ. ბიბილაშვილი.** სტატიაში განხილულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების და განვითარების ძირითადი გზები და მიმართულებები საქართველოში. აგრეთვე გაანალიზებულია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის თავისებურებანი, გამოვლენილია დადებითი და უარყოფითი მხარეები და დასახულია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების სრულყოფის გზები.

**მ. მელაშვილი, ნ. ქისტაური.** ნაშრომში განხილულია საბიუჯეტო პოლიტიკა, როგორც სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი რგოლი, რომლის სწორად წარმართვაზე დიდადაა

დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ამით მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, განხილულია ბიუჯეტის ძირითადი ამოცანები, ფუნქციები, პრინციპები და სრულყოფის გზები.

**მ. მელაშვილი, ნ. ქისტაური.** ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე ეკონომიკის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა საგადამხდელო ბალანსი, მისი რეგულირების სხვადასხვა კონცეფციები და მოდელები. ავტორებს მოტანილი აქვთ შესასწავლი პრობლემის შესახებ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტთა შეხედულებები, როგორებიც არიან: დ. იუმი, დ. რიკარდო, ა. სმიტი, დ. ჰიუ, ჯ.წ. კეინსიანელები, რ. ჰარროდი, ვ, ვალრასი, ჯ, მილი, რ. მოლერი, რ, მანდელი, ი. ტინბერგერი და სხვები. ნაშრომში აგრეთვე განხილულია საქართველოს საგადამხდელო ბალანსის ბოლო წლების მდგომარეობა და სავაჭრო ბალანსის ძირითადი უარყოფითი მაჩვენებლების მიზეზები.

**მ. მელაშვილი, ნ. ქისტაური, ქ. ქველაძე.** ნაშრომში გაანალიზებულია მომსახურების სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორიცაა საინფორმაციო-საკომუნიკაციო დარგი. ბოლო წლებში მისი მნიშვნელობის უსწრაფესი ზრდა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობები. მსოფლიო მასშტაბით აღნიშნული დარგის სწაფმა წინსვლამ იმოქმედა საზოგადოების ცნობიერების ცვალებადობაზე და, შეიძლება ითქვას, რომ საფუძველი ჩაუყარა ახალი საზოგადოებრივი ფორმის – საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ნაშრომში ნაჩვენებია აგრეთვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის დღევანდელი მდგომარეობა და მისი განვითარებისა და მთავარ სტრატეგიულ მიზნად გადაქცევის აუცილებლობას საქართველოში.

**ი. ნათელაური, თ. თაფლაძე.** ნაშრომში, საქართველოს საგადასახდელო ბალანსების ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაანალიზებულია საქონლითა და მომსახურეობით ქვეყნის საგარეო ვაჭრობა, გამოვლენილია და შეფასებულია მათი ცვლილების ტენდენციები საანალიზო პერიოდში.

**ი. ნათელაური.** გაანალიზებულია საქართველოს ეკონომიკური კავშირები უკრაინასთან და რუსეთთან ამ ქვეყნებთან ობიექტური მიზეზებით გამოწვეული ცვლილებების შემთხვევაში. შემოთავაზებულია ალტერნატიული ვარიანტები და მასთან დაკავშირებული პრობლემები.

**ი. ნათელაური.** სტატიაში გაანალიზებულია და შეფასებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების მიერ 1992-2002 წლებში საქართველოსთვის გაცემული გრანტების, დახმარებების (ფინანსური, ტექნიკური და ჰუმანიტარული) რაოდენობრივი მაჩვენებლები და მათი მიმღები სფეროების სპექტრი.

**ი. ნათელაური.** ნაშრომში გაანალიზებულია მეფუტკრეობის ორი პროდუქტიდან თაფლისათვის მსოფლიო წარმოება და მსოფლიო ბაზარი, სანთელისათვის დანიშნულება და მნიშვნელობა, ძირითადად აზიისა და ევროპის ქვეყნების მაგალითზე; გამოკვლეულია თაფლის მსოფლიო წარმოებაში არსებული ტენდენციები და მოსალოდნელი ცვლილებები. სანთელთან მიმართებაში აქცენტირებულია საეკლესიო სანთელი, მისი ისტორიული მნიშვნელობა და დანიშნულება.

**ი. ნათელაური.** საქართველოს საგადასახდელო ბალანსების მიხედვით გაანალიზებულია და ერთმანეთთან შედარებულია მიმდინარე ოპერაციების ანგარიშები, კაპიტალური და ფინანსური ანგარიშები და სარეზერვო აქტივების ცვლილება დროის ორი პერიოდის 1994-2002 წწ და 2003-2012წწ.

**ზ. ნოზაძე.** ნაშრომში მოცემულია საქართველოში წყლის რესურსების გაჭუჭყიანებით და არარაციონალური გამოყენების შედეგად მიყენებული ეკონომიკური ზარალის შეფასება. მოცემულია კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების საქმეში, რაც საბოლოოდ შეამცირებს ქვეყნის ეკონომიკური ზარალის სიდიდეს.

**ვლ. პაპავა, თ. თაფლაძე.** სტატიაში განხილულია ლიბერტარიანიზმის კლასიკური მოდელის ქართული მოდიფიკაცია, რომელიც ეფუძვნება მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების დაცვას და ეკონომიკური მეცნიერების უცოდინრობას.

**ვლ. პაპავა.** სტატიაში განხილულია საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პრობლემა. თუკი გვინდა საქართველო ოდესმე ევროპის განუყოფელ ნაწილად იქცეს, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით ტრანსფორმაცია. გაურკვეველი რჩება რუსეთთან ურთიერთობის მომავალი, როგორც ზოგადად, ისე ეკონომიკური კუთხითაც. მართალია, ქართული წარმოების პროდუქცია რუსეთის ბაზარზე დაბრუნდა, მაგრამ ხაზი უნდა გაესვა, რომ ნაკლებად ექვემდებარება პროგნოზებს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების სრული მასშტაბით აღდგენის შესაძლებლობა, ვინაიდან ეს საკითხი უფრო პოლიტიკური ხასიათისაა, ვიდრე ეკონომიკური.

**ვლ. პაპავა.** 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ გატარებულ რეფორმები საერთაშორისო დონეზე აღიარებულია როგორც ლიბერტარიანული. ამ შეხედულების უკან იდგა ის ფაქტი, რომ ბიზნესის დასაწყება საჭირო ლიცენზიების და ნებართვების დიდი ნაწილი იქნა გაუქმებული. იმავდროულად, საქართველოს მთავრობა რეგულარულად არღვევდა საკუთრების

უფლებებს და სასამართლო სისტემა ფაქტობრივად იყო პროკურატურის კონტროლქვეშ. ქართველი იმით "ლიბერტარიანელები" განსხვავდებიან ნამდვილი ლიბერტარიანელებისაგან, რომ ქართველთათვის ლიბერტარიანიზმი არ ყოფილა ეკონომიკის ცოდნაზე დაფუძვნებული არჩევანი; პირიქით, მათთვის ასეთი არჩევანი იყო ნიღაბი ეკონომიკის არცოდნის დასაფარავად.

**ზ. რევიშვილი.** გაშუქებულია აგრარული სექტორის ტრანსფორმირებისა და განვითარების: ზრდის სტადიების, სტრუქტურული ტრანსფორმაციისა და დამოკიდებულების თეორიები; დუალისტური ეკონომიკის მოდელები და სხვა.

განხილულია "ფართო საფუძვლიანი, ერთმოდელიანი სტრატეგია", რომელიც ითვალისწინებს უპირატესად ყოვლისა მცირე და საშუალო მეურნეობების განვითარების ხელშეწობას; ასევე გაშუქებულია "დუალისტური სტრატეგია", რომელიც განაპირობებს ბიმოდელურ სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის ჩამოყალიბებას და აქცენტირებულია მსხვილი მიწათმფლობელობის ხელშეწყობაზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის რეფორმირებისა და მომდევნო პროცესების შედეგების გათვალისწინებით, განვითარებულია მოსაზრება "ფართო საფუძვლიანი სტრატეგიის" შემუშავებისა და განხორციელების თაობაზე.

**ზ. რევიშვილი.** გაშუქებულია სოფლის ქალაქისგან ჩამორჩენის თეორიული საკითხები, პრობლემის არსი და სტრუქტურა; ლიტერატურაში არსებული სოფლის მეურნეობისა და სოფლის ტრანსფორმირებასთან დაკავშირებული განსხვავებული მიდგომები. გაანალიზებულია სოფლის მეურნეობაში არსებული, რეფორმირების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემები.

გაშუქებულია საქართველოს სასოფლო დასახლებების ტიპების და მათში მოსახლეობის ცვლილებების ტენდენცია; დახასითებულია სასოფლო დასახლებების ტიპები.

**ზ. რევიშვილი.** გაშუქებულია საქართველოს სოფლის მძიმე სოციალური მდგომარეობის: სიღარიბის, არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრეობის, სოციალური უზრუნველყოფის დაბალი დონის მიზეზები. ნაჩვენებია ქალაქთან შედარებით სოფლის სიღარიბის მაღალი დონე, სიღარიბის მეტი სიღრმე და მეტი სიმწვავე. გამახვილებულია ყურადღება სოფლად არასრული დასაქმებისა და ფარული უმუშევრობის არსებულ მდგომარეობაზე.

**ზ. რევიშვილი.** გაშუქებულია ეკონომიკასა და ბიზნესში სახელმწიფო ჩარევისა თუ ჩაურევლობის თეორიული საკითხები ისტორიულ ასპექტში. გამახვილებულია ყურადღება სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის კეინზიანურ მიდგომებზე. გაშუქებულია რიგი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების გამოცდილება სოფლის მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირებასთან დაკავშირებით, ნაჩვენებია ამ რეგულირების სხვადასხვა ფორმები და მეთოდები. გამახვილებულია ყურადღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამთავრობო ინტერვენციის საჭიროებებზე და პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

განვითარებულია პოზიცია საქართველოში ერთიანი განსახლებითი სისტემების – „ქალაქი-სოფელი", „მუნიციპალიტეტის ცენტრი-სოფელი" ფორმირების სახელმწიფო ხელშეწყობის თაობაზე.

**რ. სარჩიმელია.** ნაშრომში განხილულია ეკონომიკის აქტუალური პრობლემები საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ფორმირებასთან დაკავშირებით და წინააღმდეგობები, რომელთა გაუთვალისწინებლობა ზარალს იწვევს და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკაში ბარიერებს ქმნის. დახასიათებულია პოსტსაბჭოთა საქართველოს ევროკავშირთან შეღწევის შესაძლებლობები და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტიანობა გლობალიზაციის პირობებში. დასმულია წრფივი დაპროგრამების ახალი ამოცანა და წარმოდგენილია შესაბამისი მოდელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის შესაძლებლობის გაფართოებას ეხება.

**რ. სარჩიმელია, რ. ლორთქიფანიძე.** განხილულია პრივატიზაციასთან დაკავშირებული მოსახლეობის ფენებად ფორმირების პროცესი.

დღევანდელ საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, არასაკმარისია მოსახლეობის ცხოვრების საშუალო დონე. აქედან გამომდინარე, წარმოჩენილია კეთილსინდისიერი მოსახლეობის საშუალო ფენის შექმნის პრობლემა და შემოთავაზებულია რეკომენტაციები პრივატიზების ეფექტიანობისა და დირექტიული მართვის სისტემის მოდერნიზებისათვის.

შინაარსობრივ განმარტებასთან შესაბამისობაში, მოყვანილია ეკონომიკური კონკურენციის მრავალმხრივი მოდიფიკაცია, როგორც გლობალიზაციის პოტენციალის ასამოქმედებელი ფაქტორი.

განხილულია პოსტსაბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობაში პრივატიზაციის ჩატარების პრობლემურობა, რის გამოც იგნორირებულია სოფლის მიმზიდველობა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით შექმნილია სოფლის მოსახლეობის ქალაქად მასობრივი გადასვლის წინაპირობა.

საბაზრო ეკონომიკის შესაძლებლობების სტიმულირების მიზნით, შემოთავაზებულია ყოფილი კოლმეურნეობების ბაზაზე საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული პროცესების წარსულში დამკვიდრებული ე.წ. "ხოდაბუნების" აღდგენა, ბაზარზე მათი ნაწარმის თავისუფალი გაცვლის

პირობით.
**რ. სარჩიმელია.** განხილულია საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზე ხელშემშლელი მბრძანებლური დაგეგმვის უარყოფითი შედეგების ინერციული გავლენა საბჭოთა კავშირის და პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკაზე.

გაანალიზებულია მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის საბაზრო ეკონომიკასთან შეუთავსებლობისა და კიბერნეტიკის რეალური განმარტების დამახინჯების შემთხვევები.

მოცემულია ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ პეტრე კაპიცას მიერ შემუშავებული მბრძანებლური დაგეგმვის სისტემის ჯონ მეინარდ კეინზის საბაზრო ეკონომიკით მშვიდობიანი ჩანაცვლების სქემა, რომლის მიმზიდველობის მიუხედავად, იგი გამოუყენებელი დარჩა საბაზრო ეკონომიკის მბრძანებლური დაგეგმვის სისტემასთან შეუთავსებლობის მიზეზით. თუმცა სქემა, როგორც 70-იანი წლების საბჭოთა კავშირის დაშლის ოპტიმისტური პროგნოზის მაცნე, ყურადსაღები იყო მსოფლიოში.

დახასიათებულია საქართველოში ეკონომიკის მათემატიკურ-კიბერნეტიკული მიმართულება, რომელიც აკადემიკოსმა ილია ვეკუამ, დროის პროგრესული ცვლილებების გათვალისწინებით, მათემატიკის ეკონომიკაში გამოყენების პერსპექტივას დაუკავშირა და შესაბამისი პრობლემების დაფუძნებაზეც იზრუნა.

ჩატარებულია მსჯელობა იმის შესახებაც, რომ საბჭოთა კავშირში კიბერნეტიკის ცალკეული სამეცნიერო დარგის სპეციალობებად დანაწევრება შეცდომა იყო, რაც შემდგომ, რეალურად პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებაში დაზუსტდა.

**თ. ქავთარაძე.** ნაშრომში შესწავლილია პირუტყვის გადასარეკი ტრასების თანამედროვე მდგომარეობა, რომელმაც ცხვარი უნდა უზრუნველყოს საკვებით წლის განმავლობაში დაახლოებით 60-70 დღე. ნაჩვენებია, რომ ყიზლარის საზამთრო საძოვრების დაკარგვის შემდეგ, ყაზბეგის, დუშეთის, ახალგორის, თიანეთის რაიონის მეცხვარეობას არ გააჩნია საქართველოს ზამთრის საძოვრებზე ცხვრის გადასარეკი ტრასა. ნაშრომში პირველადაა წამოყენებული წინადადება, რომ ჩრდილოკავკასიელ მწყემსებთან ერთად ერთობლივად შეიქმნას ფერმერული საწარმოები, რომელთა ცხვარი ყიზლარის ზამთრის საზოვრებზე გამოიზამთრებდა, ზაფხულს კი ჩვენი მთების საძოვრებზე გაატარებდა.

**თ. ქავთარაძე.** ნაშრომში შესწავლილია რძის შესყიდვის პრობლემები საქართველოში. გამოვლენილია არაეფექტურობის მიზეზები. პირველადაა წამოყენებული წინადადება, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს, რომ წლის დასაწყისში რძის ქარხნებმა ფერმერულ მეურნეობებს მისცენ ფულადი ავანსი, რომელიც რძის შესყიდვის ანგარიშში თანდათან დაიფარება. დადგენილია, სოფლად მერძევეობის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები დაიყვანება მხოლოდ, გლეხების მიერ რძის შემკრებ პუნქტებში რძის ჩაბარებით. წამოყენებულია წინადადება რძის შესყიდვის ცენტრალური გადაზიდვის დანერგვით, სატრანსპორტო ხარჯებისაგან გამოთავისუფლდებიან ფერმერული მეურნეობები, ხოლო რძის მრეწველობის საწარმოები პასუხისმგებელი გახდებიან რძის შესყიდვა-დაბინავებაზე.

**თ. ქავთარაძე.** ნაშრომში შესწავლილია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომელიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასწარმოქმნისა და შესყიდვების განსახორციელებლად. წამოყენებულია წინადადება, ფასწარმოქმნის დროს გათვალისწინებული იქნას ყველა დარგისა და კულტურის რენტაბელობა. ერთი დარგისა და კულტურის მეორე დარგისა და კულტურის ხარჯზე მუდმივად შენახვა მიზანშეწონილად არ შეიძლება ჩაითვალოს. ნაშრომში შესწავლილია რძისა და პირუტყვის შესყიდვის აქტუალური პრობლემები საქართველოში; ყურადღებაა გამახვილებული მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის ხარისხოვანი მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე; პირველადაა წამოყენერბული ყურძნისა და ციტრუსების მსგავსად დოტაცია დაწესდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაშიც.

**ქ. ქველაძე.** სტატიაში განხილულია ტურიზმის, როგორც მომსახურების დარგის, განვითარების ზოგიერთი ასპექტი და მისი გავლენა საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაზე, ასევე მიმოხილულია საქართველოში მომსახურების სფეროს ის ზოგიერთი ეკონომიკური მახასიათებელი და მოცულობები, რომლებსაც ძირეული ცვლილებების მოხდენა შეუძლიათ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებაში და გამოყოფილია ეროვნული ტურიზმის განვითარების ის ხელშემშლელი ფაქტორები, რომელთა შემცირება ან აღმოფხვრა უზრუნველყოფს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ფართო მასებისათვის სამუშაო ადგილების შექმნასა და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას ეროვნული ეკონომიკური განვითარების პროცესში.

**ქ. ქველაძე, ნ. ქისტაური, მ. მელაშვილი,** ნაშრომში განხილულია თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენცია - მომსახურების სფეროს უსწრაფესი ტემპით ზრდა. აქ განხილულია მომსახურება, როგორც საქონელი, მისი სპეციფიკური მხასიათებლები, სახეობები და ამ სახეობათა ჯგუფების საერთაშორისო კლასიფიკაცია; გაანალიზებულია საქართველოში

მომსახურების სახეობათა თითოეული ჯგუფი საკმაოდ მდიდარი ციფრობრივი მასალის საფუძველზე, რომელიც ძირითადად ცხრილების სახითაა მოყვანილი. ნაშრომში ასევე განხილულია მომსახურების სფეროს შემდგომი სრულყოფისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე მისი გავლენის ძირითადი ფაქტორები, გზები და პერსპექტივები.

**ნ. ქისტაური, მ. მელაშვილი.** ნაშრომი ეძღვნება დღეისათვის მეტად აქტუალურ თემას - უცხოური ინვესტიციების როლს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

კაპიტალის საერთაშორისო მასშტაბით მოძრაობამ წარმოქმნა უცხოური ინვესტიციების უზარმაზარი მოცულობა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მათ რიცხვშია საქართველოც. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უცხოური ინვესტიციების განხორციელებას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, რაც ნაშრომში არის ნაჩვენები. ასევე გაანალიზებულია საქართველოში ბოლო (2006-2014) წლების მიხედვით უცხოური ინვესტიციების განხორციელების ციფრული მონაცემები.

**თ. ჩხეიძე.** სტატიაში „მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები საქართველოში“ გაანალიზებულია ბუნებრივი რესურსების კერძოდ, მიწის, წყლის, ტყის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პრაქტიკულ ღონისძიებათა სისტემა. ნაჩვენებია, აღნიშნულ ბუნებრივ რესურსთა ამჟამინდელი მდგომარეობა: მაგ. საქართველოს მიწის ფონდში სახნავი მიწების ფართობი თანდათან შემცირების ტენდენცია, რომლის ძირითადი მიზეზებია: ნიადაგის ეროზია, გაუდაბნოება, დეგრადაცია და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენება. ამას ემატება მარცვლეული კულტურების (ხორბალი, სიმინდი) ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენება. ასევე გამოიკვეთა ქვეყნის წყლის რესურსების დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი, რის გამოც წყლის რესურსი გამოუსადეგარი გახდა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. ამასთან მასიურად ტყის უნებართოდ ჭრებმა განაპირობა ნიადაგდაცვითი, წყლის რეჟიმის მარეგულირებელი, ჰაერგამწმენდი ფუნქციების მოშლა, რამაც განაპირობა მეწყრული, ეროზიული პროცესების გააქტიურება.

სტატიაში განხილულია იმ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც უნდა განხორციელდეს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვისათვის, რითაც ხელი შეეწყობა საქართველოში მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

**თ. ჩხეიძე.** სტატიაში ნაჩვენებია, რომ გაუდაბნოება (გავერანება – თ. ჩ.) არის პროცესი, რომელსაც შეუძლია ადამიანის ნორმალური საცხოვრებელი გარემოს შეცვლა უდაბნოდ, რომლის შედეგია მიწის დეგრადაცია და ნოყიერი მიწის უნაყოფო მასად გადაქცევა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაუდაბნოება გამოაცხადა, როგორც გლობალური პრობლემა, რომელსაც უკავშირდება მოსახლეობის სიღარიბე და შიმშილი.

გაუდაბნოების მიზეზი შეიძლება იყოს ბუნებრივი პირობები (კლიმატი და ა.შ.) და ადამიანის სამეურნეო მოქმედება.

სტატიაში საიახლის მატარებელია, ის რომ სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, მოსახლეობის ზრდამ, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ და სხვა ანთროპოგენულმა ფაქტორმა გააძლიერა ნიადაგზე ადამიანის ზემოქმედების მასშტაბები, რაც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ნიადაგს არასწორი ექსპლუატაციით და გარემოს დაბინძურების უპრეცედენტო მასშტაბებით, რაც ნიადაგის დეგრადაციისა და შემდგომი გავერანების წინაპირობაა.

**თ. ჩხეიძე.** სტატიაში ბუნებრივი რესურსები განხილულია, როგორც ბუნების ელემენტები, ობიექტები და მოვლენები, რომლებიც გამოიყენება სამურნეო საქმიანობაში, საზოგადოების მატერეალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ხელს უწყობს შრომითი რესურსების კვლავწარმოებას და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას. ამავე დროს ბიოსფეროს თვითგანვითარებისა და განახლების შესაძლებლობებს საზღვარი გააჩნია, რომლის დარღვევა გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზების გამო. გამომდინარე იქიდან, რომ მისი დარღვევა საშიშია მთელი კაცობრიობისათვის, საჭიროა ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენება, რათა არ დაირღვეს ბალანსი ბიოსფეროს კომპონენტებს შორის.

სტატიაში ხაზგასმულია ის რომ, ბოლო დროს უფრო ხშირად გაისმის გამაფრთხილებელი ხმები იმის შესახებ, რომ კაცობრიობას დიდხანს აღარ ეყოფა ბუნებრივი რესურსები და ზოგიერთი სახეობა ამოწურვის საშიშროების ქვეშაც კი არის, ხოლო მათი შევსება ან განახლება შეუძლებელია. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა კაცობრიობის უპირველესი საზრუნავია.

